ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის

ოქმი N71

ქ.თბილისი 25 დეკემბერი, 2020 წელი
16[00]საათი

საკრებულოს სხდომას ესწრებოდნენ:

საკრებულოს თავმჯდომარე: გიორგი ტყემალაძე
საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე: გიორგი ახვლედიანი
საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე: მარიკა დარჩია
საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე: თევდორე ისაკაძე

საკრებულოს წევრები:

მიხეილ ამაშუკელი
გიორგი ბირბიჩაძე
ოთარ გრიგოლია
ლევან დარახველიძე
ერეკლე კუხიანიძე
ქეთევან მამულაშვილი
გიორგი მუსხელიშვილი
შალვა ოგბაიძე
ლევან ჟორჟოლიანი
ნინო რუხაძე
დავით უთმელიძე
ვახტანგ შაქარიშვილი
ავთანდილ ცინცაძე
დავით ჭელიძე
ლევან ჯაფარიძე (სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე)
ილია ჯიშკარიანი
ქეთევან ჯოხაძე
ლევან არველაძე
გულია გოცირიძე
ლევან დავითაშვილი
გიორგი დოხტურიშვილი
ანა ლაშხი
მიხეილ მესხი
თინათინ ნიბლოშვილი
ვაჟა ოთარაშვილი
დათო რურუა
რევაზ სოხაძე
ბორია ფირცხელიანი
გიორგი ჩაკვეტაძე
ვლადიმერ ძნელაძე
ალექსანდრე ხუჯაძე
ლევან ჯაფარიძე
ჯაბა ჯიშკარიანი

სხდომას ესწრებოდნენ:

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერი კახა კალაძე;

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე (ვიცე-მერი) ირაკლი ხმალაძე;

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილეები;

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საქალაქო სამსახურების უფროსები;

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის რაიონების გამგებლები.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა გახსნა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ და კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით:

დღის წესრიგი:

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის ანგარიშის მოსმენა";

მომხსენებელი: კახა კალაძე

2. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ";

მომხსენებელი: კახა კალაძე
თანამომხსენებელი: ირაკლი ხმალაძე

3. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 27 დეკემბრის N51-104 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ".

მომხსენებელი: გაიოზ თალაკვაძე

მომხრე - 33

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

გიორგი ტყემალაძემ აღნიშნა, რომ დღევანდელი დღე ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან თბილისის საკრებულოს წევრები, მერთან ერთად, შეაჯამებენ 2020 წელს შესრულებულ სამუშაოებს. განაცხადა, რომ დიდი გამოწვევების მიუხედავად, მიმდინარე წელს, მიღებული იქნა საკმაოდ ეფექტური გადაწყვეტილებები, განხორციელდა ჩვენი თანამოქალაქეებისთვის საჭირო და აუცილებელი ღონისძიებები და სიტყვა გადასცა თბილისის მერს, კახა კალაძეს.

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის ანგარიშის მოსმენა". ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერი კახა კალაძე, მიესალმა დამსწრე საზოგადოებას. განაცხადა, რომ დედაქალაქზე ზრუნვა ძალიან მნიშვნელოვანი და საპასუხისმგებლო საქმეა, მისთვის, დიდ ემოციასთან არის დაკავშირებული თითოეული გაკეთებული საქმე, რომელიც თბილისის განვითარებასა და თბილისელების უკეთეს ხვალინდელ დღეს ემსახურება. მისი თქმით, დიდი პატივია ადამიანებისგან მიიღო ნდობა, რომ მართო დედაქალაქი, იზრუნო მასზე და უკეთესი გახადო, რადგან თბილისი ყველას საერთო საკუთრებაა და ყველა პასუხისმგებელია, შეინარჩუნოს მისი მდიდარი მემკვიდრეობა, გაუმკლავდეს არსებულ პრობლემებს და მომავალ თაობებს დაუტოვოს განვითარებული და წარმატებული ქალაქი, რისი მიღწევაც შესაძლებელია იმ შვიდი ძირითადი პოლიტიკის განხორციელებით, რომელიც გაწერილი იყო „ქართული ოცნების" გუნდის 2017 წლის წინა საარჩევნო პროგრამაში. 2020 წელს, თბილისს, ისევე, როგორც მთელ საქართველოს და მსოფლიოს მოუწია „ახალ კორონა ვირუსთან" დაპირისპირება, რის გამოც ძალიან ძნელი აღმოჩნდა ქალაქის ადაპტაცია ახალ რეალობასთან და დაწყებული პროექტების შეჩერება თუ სახეცვლილება. მთელი წლის განმავლობაში, ქალაქი ცხოვრობს სხვადასხვა სახის შეზღუდვების პირობებში და დინამიური პოლიტიკური პროცესების შუაგულში, თუმცა, მიუხედავად ამისა, ის, როგორც ქალაქის მერი, ვალდებულია აღასრულოს თითოეული თბილისელის და მუნიციპალიტეტის წინაშე აღებული ვალდებულება და სწორედ ამიტომ, „ვერანაირი გამონაკლისის დაშვება, არანაირი გადადებული საქმეები, ვერც სხვადასხვა მიზეზებზე ისრების გადატანა ჩვენი ყოველდღიური საქმიანობისას არ და ვერ მოხდება". კახა კალაძემ ისაუბრა თბილისში, 2020 წელს, განხორციელებულ მნიშვნელოვან პროექტებზე, რომელთა შორის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანია ახალი პლატფორმის შექმნა, სადაც თითოეულ ადამიანს და ბიზნესს მიეცა

შესაძლებლობა, სოლიდარობით და ერთიანი ძალისხმევით დახმარებოდა იმ ოჯახებს, რომლებსაც ყველაზე მეტად გაუჭირდათ ამ რთულ ვითარებაში. განაცხადა, რომ ხსენებულ პლატფორმაში, ჯერ კიდევ პანდემიის პირველი ტალღის დროს, ძალიან ბევრმა ადამიანმა და ბიზნეს-სექტორის წარმომადგენელმა მიიღო მონაწილეობა და მადლობა გადაუხადა ყველას, მათ შორის თბილისის საკრებულოს, რომელიც აქტიურადაა ჩართული ამ პროექტში. ასევე, მნიშვნელოვანია მუნიციპალიტეტის მხრიდან მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერის მიმართულებით გადადგმული ნაბიჯები, რაც გამოიხატება ბიზნესის გადარჩენისთვის გარკვეული სახის ხელშემწყობი ღონისძიებების გატარებაში, რომელიც შეეხო 3000-მდე მეწარმეს. კახა კალაძემ ისაუბრა სატრანსპორტო პოლიტიკაზე და აღნიშნა, რომ ამ მიმართულებით მუნიციპალიტეტმა დაიწყო ქალაქისთვის მნიშვნელოვანი მთელი რიგი ღონისძიებების განხორციელება, მათ შორის: ავტობუსების ჩანაცვლების პროგრამა, რომელიც წარმატებით მიმდინარეობს და მომდევნო წლის დასაწყისში თბილისს ექნება განახლებული ავტობუსების პარკი; მუნიციპალიტეტმა, ასევე, დაიწყო მიკროავტობუსების ჩანაცვლების პროგრამა, რომლის ფარგლებშიც, პირველ ეტაპზე, შეძენილი იქნა 300 ერთეული მიკროავტობუსი, რომლებსაც, რა თქმა უნდა, ძალიან მალე გამოისყიდის კომპანია, რომელიც ოპერირებს ამ სფეროში და მუნიციპალიტეტს ექნება შესაძლებლობა კიდევ შეიძინოს ახალი მიკროავტობუსები, რათა მოხდეს მათი სრულად განახლება; აღსანიშნავია მეტროში მიმდინარე პროცესებიც, რომლის ფარგლებშიც დაიწყო ძალოვანი კაბელების ცვლილება და გამნიავებელი სისტემების სრულად მოწესრიგება, განხორციელდა მეტროს ვაგონების მოდერნიზაცია და გამოცხადებულია ტენდერი ახალი, ევროპული ტიპის, მეტროს ვაგონების შეძენაზე. კახა კალაძის თქმით, ასევე, მნიშვნელოვანია შენობა-ნაგებობების, საცხოვრებელი ფართების და მიწების დაკანონების პროექტი, რომლის ფარგლებშიც მუნიციპალიტეტი დაეხმარა ძალიან ბევრ ოჯახს და მომავალშიც დაეხმარება იმ ადამიანებს, რომლებსაც აწუხებს აღნიშნული პრობლემა. თბილისის მერმა ისაუბრა დაუმთავრებელი შენობა-ნაგებობების პრობლემაზეც და განაცხადა, რომ სამწუხაროდ, ქალაქში არის ბევრი ისეთი დაუმთავრებელი შენობა-ნაგებობა, სადაც ადამიანებს გადახდილი აქვთ თანხა, საცხოვრებელი ფართების შესაძენად, თუმცა ბევრმა დეველოპერულმა კომპანიან ვერ შეასრულა აღებული ვალდებულება, რამაც სერიოზული პრობლემა შექმნა, როგორც ოჯახებისთვის, ასევე ქალაქისთვის. მისი თქმით, მუნიციპალიტეტმა ამ მიმართულებითაც გადადგა კონკრეტული ნაბიჯები, რომლის შედეგადაც მოგვარებულია სამშენებლო კომპანია „სვეტის“ მიერ დაუმთავრებელი მშენებლობით დაზარალებული ადამიანების პრობლემა. ასევე, მოგვარებულია „ოლიმპიური ვარსკვალავის“ დაზარალებულების პრობლემაც, ხოლო „ცენტრ პოინტი ჯგუფის“ დაუმთავრებელი მშენებლობის შედეგად დაზარალებულების საკითხის მოგვარება თითქმის დასრულებულია. კახა კალაძემ აღნიშნა, რომ დაუმთავრებელი მშენებლობით დაზარალებული ადამიანების პრობლემის გადაჭრა არ არის მხოლოდ ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერის და მერიის თანამშრომლების დამსახურება, ამაში დიდი წვლილი მიუძღვის საკრებულოს, რადგან ათეულობით წლების მანძილზე არსებული პრობლემის მოგვარება თბილისის მერიისა და საკრებულოს ერთობლივი მუშაობის შედეგია და საკრებულოს თითოეულ წევრს დიდი მადლობა გადაუხადა. თბილისის მერის თქმით, აღსანიშნავია ასევე, კოოპერატიული ბინათმშენებლობის პროგრამა, რომლის ფარგლებშიც, მუნიციპალიტეტის მიერ გადადგმული კონკრეტული ნაბიჯების შედეგად, 3000-ზე მეტ დაზარალებულ ოჯახს საკუთრებაში გადაეცემა საცხოვრებელი ფართი. კახა კალაძემ ისაუბრა ეკოლოგიურ მდგომარეობაზეც, რომელიც ქალაქისთვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამოწვევაა და განაცხადა, რომ ამ მიმართულებით, მუნიციპალიტეტის მხრიდან, განხორციელდა მთელი რიგი ღონისძიებები, კერძოდ: სამშენებლო სექტორის მიმართულებით შემოღებული იქნა გარკვეული რეგულაციები; განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ქალაქში მწვანე სივრცეების არსებობას, რომლის ფარგლებშიც დაწყებულია ვაკის პარკის რეაბილიტაცია, ხოლო მომავალ წელს დაიწყება ვაკის პარკის კასკადის რეაბილიტაცია; აქტიურად მიმდინარეობს არსებული სკვერების მოწესრიგება და პარკების განახლება; განხორციელდა კიკვიძის ბაღის სრული რეაბილიტაცია და ვარკეთილში, სუხიშვილისა და თაყაიშვილის ქუჩებზე მდებარე ორი დიდი პარკის რეაბილიტაცია; სამგორის რაიონში,

მოსკოვის გამზირზე, განახლდა და მოწესრიგდა 2.5 კმ. სიგრძის გზაგამყოფი და შეიქმნა ისეთი სივრცე, სადაც ადამიანები შეძლებენ დაისვენონ და განიტვირთონ; აღსანიშნავია ასევე, გლდანის მე-8 მიკრორაიონში განხორციელებული პროექტი, სადაც ადგილობრივი მოსახლეობისთვის მოეწყო ძალიან კარგი სარეკრეაციო სივრცე. კახა კალაძემ ისაუბრა თბილისში განხორციელებულ და მიმდინარე ინფრასტრუქტურულ პროექტებზე, რომელთა შორის არის: მაჭავარიანი-გელოვანის დამაკავშირებელი გზის მშენებლობის დაწყება, რომელიც დასრულდება გაზაფხულზე; ამ კუთხით, ერთ-ერთი საუკეთესო პროექტია ჭავჭავაძის გამზირის რეაბილიტაცია, რომელიც, შეიძლება ითქვას, რომ ქუჩის მოწყობის სრულიად ახალი, თანამედროვე და განვითარებული სტანდარტია. მისი თქმით, მომავალში, თბილისში ყველა ქუჩა მოეწყობა სწორედ ამ სტანდარტის შესაბამისად, სადაც იქნება სივრცეები, როგორც კერძო ავტომობილით მოსარგებლეებისთვის, ასევე საზოგადოებრივი ტრანსპორტისთვის განკუთვნილი ზოლები, ველობილიკები და მაქსიმალურად კომფორტულად მოწყობილი ტროტუარები ქვეითად მოსიარულეებისთვის. კახა კალაძემ ასევე, ისაუბრა თბილისის ბიუჯეტზე და აღნიშნა, რომ ბიუჯეტი ყოველწლიურად იზრდება და ეს მნიშვნელოვანია, რადგან სხვადასხვა მიმართულებით უფრო მეტი პროექტის განხორციელების და უფრო მეტი ადამიანის დახმარების შესაძლებლობას იძლევა. მისი თქმით, 2021 წლის ბიუჯეტი იქნება 1100000000 მეტი, რაც მუნიციპალიტეტს მისცემს შესაძლებლობას განახორციელოს ქალაქისთვის მნიშვნელოვანი პროექტები. თბილისის მერი ასევე, შეეხო თბილისის ისტორიული არეალების რეაბილიტაციას და განაცხადა, რომ კულტურული მემკვიდრეობა არის ის მიმართულება, რაც ყველასთვის ძვირფასია და რასაც განსაკუთრებით უნდა გავუფრთხილდეთ. ამ კუთხით, აღსანიშნავია ორბელიანის მოედნის და მიმდებარე ქუჩების სრული რეაბილიტაცია, მიმდინარეობს გუდიაშვილის მოედნის და მიმდებარე ქუჩების რეაბილიტაცია, რომელიც დასრულდება მომდევნო წლის გაზაფხულზე. კახა კალაძემ, 2020 წელს, მუნიციპალიტეტის მიერ შესრულებულ სამუშაოებზე აღნიშნა, რომ დაგებული გზების საერთო ფართობი შეადგენს 1113193 კვ.მ.-ს; დაიგო და მოწესრიგდა 871 ქუჩა, გამზირი, აღმართი და ხიდი; დაირგო დაახლოებით 47384 მწვანე ნარგავი; ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების მიმართულებით დაიხარჯა 39000000 ლარი; ჯანდაცვის და სოციალურ პროგრამებში დახარჯული იქნა 60000000 ლარი; 13000000 ლარი მიმართული იყო ავარიული შენობება-ნაგებობების გასამაგრებლად; მერიის მხარდაჭერით, განხორციელდა სპორტული მიმართულებით 60, 235-მდე კულტურულ-შემეცნებითი და განათლებისა და ახალგაზრდობის მიმართულებით 50 ღონისძიება; ვარკეთილსა და დიდ დიღომში დაიწყო მულტიფუნქციური საზოგადოებრივი ცენტრების მშენებლობა; ლილოს დასახლებაში აშენდა ახალი საცურაო აუზი; რეაბილიტაცია ჩაუტარდა ოთხ და სპორტული ინვენტარით აღიჭურვა სამი სპორტული ცენტრი; ეკიპირებითა და ინვენტარით დახმარება გაეწია თხუთმეტ სპორტულ ორგანიზაციასა და ფედერაციას; სოციალურად დაუცველი და წარმატებული სტუდენტების მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში სწავლა დაუფინანსდა 700 ახალგაზრდას და 300-ზე მეტ სტუდენტს დაენიშნა წამახალისებელი სტიპენდია. კახა კალაძემ, ზემოთ ჩამოთვლილი და კიდევ ბევრი სხვა გაკეთებული საქმისთვის მადლობა გადაუხადა თბილისის მერიის თითოეულ თანამშრომელს და საკრებულოს წევრებს, წარმატებები უსურვა იმ საქმიანობაში, რომელსაც ახორციელებენ ქალაქის საკეთილდღეოდ და იმედი გამოთქვა, რომ მუნიციპალიტეტი, 2021 წელს, კიდევ უფრო მეტი კარგი პროექტის განხორციელებას შეძლებს თბილისისა და თბილისელებისთვის.

გიორგი ტყემალაძემ მადლობა გადაუხადა ქალაქის მერს წარდგენილი ანგარიშისთვის, აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტმა, საკმაოდ რთულ პერიოდში და პირობებში, შეძლო არა მხოლოდ დაგეგმილი პროექტების განხორციელება, არამედ მათი კიდევ უფრო გავრცობა და ახალი პროექტების ინიცირება და განაცხადა, რომ 2021 წელი გამორჩეული იქნება იმ პრიორიტეტული მიმართულების პროექტების განხორციელების კუთხით, რომელსაც 2017 წელს მხარი დაუჭირა თბილისის მოსახლეობამ. მან „დიდი მონაპოვარი“ უწოდა მუნიციპალიტეტის, როგორც აღმასრულებელი ხელისუფლების, ასევე, წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ, ერთიანი მართვის სისტემის შექმნას და სწორი მენეჯმენტის ჩამოყალიბებას,

რის შედეგადაც წარმატებით ხორციელდება თბილისისთვის და ჩვენი თანამოქალაქეებისთვის მნიშვნელოვანი ურბანული, სატრანსპორტო, ეკოლოგიური, სოციალური და სხვა მრავალი მიმართულების პროექტები. გიორგი ტყემალაძემ მადლობა გადაუხადა ასევე, იმ ადამიანებს, რომლებმაც ქვეყანაში არსებული „ახალი კორონა ვირუსის" პანდემიის პირობებში, გამოიჩინეს ძალიან დიდი სოციალური პასუხისმგებლობა და მათი აქტიური ჩართულობით მოხერხდა იმ ადამიანების დახმარება, რომლებიც ამას საჭიროებდნენ.

2. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერის პირველმა მოადგილე (ვიცე-მერი) ირაკლი ხმალაძემ და აღნიშნა, რომ თბილისის 2021 წლის ბიუჯეტი შეადგენს 1050000000 ლარს, თუმცა, ეს თანხა, მომდევნო წლის პირველივე თვეს, ფინანსთა სამინისტროდან, სპეციალური ტრანსფერით, გაიზრდება დაახლოებით 50-60 მილიონი ლარით. მისი თქმით, მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანაში არსებული „ახალი კორონა ვირუსის" პანდემიამ გარკვეული ნეგატიური გავლენა იქონია ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე და ეს გავლენა გაგრძელდება მომდევნო წელსაც, თბილისის 2021 წლის ბიუჯეტი დაგეგმილია 1100000000 ლარზე მეტის ოდენობით. ირაკლი ხმალაძემ ისაუბრა ბიუჯეტის ძირითად მაჩვენებლებზე და განმარტა, რომ საშემოსავლო ნაწილში დამატებითი ღირებულების გადასახდი წარმოდგენილია 462000000 ლარის, ქონების გადასახადი - 195000000 ლარის, ხოლო სპეციალური ტრანსფერი 175 და პლიუს 30 მილიონი ლარის ოდენობით. რაც შეეხება ხარჯებს, თანხის მნიშვნელოვანი ნაწილი მიმართულია ჯანდაცვისა და სოციალური კუთხით, რადგან ბიუჯეტი, პირველ რიგში, იგეგმება სწორედ ამ საჭიროებების მიხედვით და შემდეგ ხდება თანხების გადანაწილება სხვადასხვა საჭიროებებზე. აქედან გამომდინარე, თბილისის 2021 წლის ბიუჯეტის ერთი მესამედი ანუ 33%, რაც შეადგენს 350000000-მდე ლარს, მიმართულია ჯანდაცვისა და სოციალური პროგრამების განხორციელებისკენ. ინფრასტრუქტურის მიმართულებით გასაწევი ხარჯი ამ ეტაპზე წარმოდგენილია 375000000 ლარის ოდენობით, თუმცა, მომდევნო წლის იანვარში დაგეგმილი ზრდის შედეგად, ეს თანხა მიაღწევს 425000000 ლარს, რომელიც, ძირითადად, მოხმარდება ისეთი მნიშვნელოვანი პროექტების განხორციელებას, როგორებიცაა: მაჭავარიანი-გელოვანის დამაკავშირებელი ახალი გზის დასრულების სამუშაოები, ქეთევან დედოფლის გამზირის რეაბილიტაცია, ჭაბუა ამირეჯიბის და ყიფშიძის ქუჩების დამაკავშირებელი ახალი საავტომობილო გზის მშენებლობა, ზღვის უბნის პარკის ე.წ. „თემქის ხევის" მშენებლობა, ვარკეთილის ხევის ახალი პარკის მშენებლობა, ვაკის პარკის რეაბილიტაცია და მასთან ერთად, ვაკის პარკის კასკადის და შადრევანის აღდგენით სამუშაოები, მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლის რეაბილიტაცია და უნეერსიტეტის ქუჩისა და წყნეთის გზატკეცილის დამაკავშირებელი ახალი ხიდის სამშენებლო სამუშაოები. საბინაო პროექტების მიმართულებით, რომელშიც იგულისხმება ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების დაფინანსება, ავარიული შენობების გამაგრება და თავშესაფრის არმქონე, უსახლკარო ოჯახებისთვის ქირის საფასურის გადახდა, გათვალისწინებულია დაახლოებით 60000000 ლარი, ხოლო გამწვანების მიმართულებით - დაახლოებით 30000000 ლარი. ასევე, წარმოდგენილია სუბსიდიები სატრანსპორტო კომპანიის და „თბილსერვის ჯგუფის" მიმართულებით, რაც გამოწვეულია ქვეყანაში არსებული „ახალი კორონა ვირუსის" პანდემიის გამო დაწესებული შეზღუდვებიდან.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრებმა კითხვებით მიმართეს ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერს და ვიცე-მერს.

მარიკა დარჩიამ აღნიშნა, რომ 2021 წლის ბიუჯეტში გათვალისწინებულია თანხა მთაწმინდის პარკის საბაგირო გზის აღდგენისთვის და დაინტერესდა, რა შეიძლება გაკეთდეს იმისთვის, რომ არ დაიკარგოს ამ ტერიტორიაზე არსებული კულტურული მემკვიდრეობის მქონე „ცისფერი სახლი", რომელიც ერთ-ერთი გამორჩეული და ისტორიულად მნიშვნელოვანი შენობაა დედაქალაქისთვის.

ნინო რუხაძე დაინტერესდა, რა ეტაპზეა ლილოს ნაგავსაყრელზე გაზშემკრების პროექტირება-მშენებლობის ტენდერის გამოცხადება და რა იგეგმება ამ მიმართულებით ახლო მომავალში. აღნიშნა, რომ 2021 წლის ბიუჯეტში გათვალისწინებულია ელიავას ბაზრობის განვითარების კონცეფცია და დაინტერესდა, როგორ იქნება უზრუნველყოფილი ამ ბაზრობის მეპატრონეების და აქ დასაქმებული პირების ინტერესების გათვალისწინება.

რევაზ სოხაძემ აღნიშნა, რომ ბოლო პერიოდში აქტუალური გახდა უკანონო მშენებლობებისა და ნაგებობების დემონტაჟი, რაც, მისი აზრით, სწორი გადაწყვეტილებაა და მუნიციპალიტეტის მხრიდან ამ მიმართულებით განხორციელებული ქმედებები მნიშვნელოვანია. მისი თქმით, ნებისმიერ უკანონო მშენებლობას თუ სხვა ქმედებას, რომელიც ამახინჯებს ქალაქის იერსახეს, სჭირდება შესაბამისი რეაგირება, რადგან თბილისში მაცხოვრებელ თითოეულ ადამიანს სურს იცხოვროს ლამაზ ქალაქში. განაცხადა, რომ უმჯობესი იქნება, თბილისის მუნიციპალურ ინსპექციას, საკანონმდებლო დონეზე, ჰქონდეს გაცილებით მეტი ბერკეტი იმისთვის, რომ მათი საქმიანობა იყოს უფრო ქმედითი და დაინტერესდა ამ მიმართულებით დამატებითი რეგულაციების შემოღებასთან დაკავშირებით იგეგმება თუ არა ცენტრალურ ხელისუფლებასთან მუშაობა. რევაზ სოხაძემ ისაუბრა ე.წ. „სკუტერებზე", რომლებიც, მისი თქმით, „აბსოლუტურად კანონგარეშე არიან", რადგან მათი გადაადგილება ხდება, როგორც ფეხით მოსიარულეთა, ასევე, საგზაო სავალ ნაწილზე და საზოგადოებრივი ტრანსპორტისთვის განკუთვნილ ზოლშიც, რის გამოც, საკმაოდ ხშირად ქმნიან ავარიულ სიტუაციებს. აქედან გამომდინარე, კარგი იქნება მუნიციპალიტეტის მხრიდან, ცენტრალური ხელისუფლების დახმარებით, ამ მიმართულებით გადაიდგას ქმედითი ნაბიჯები.

დავით უთმელიძემ აღნიშნა, რომ 2021 წლის იანვარში, თბილისის ბიუჯეტი გაიზრდება დაახლოებით 50000000 ლარით და დაინტერესდა, მთაწმინდის საბაგირო გზის აღდგენის სამუშაოების გარდა, რა პროექტების განხორციელებას მოხმარდება აღნიშნული თანხა.

ლევან ჟორჟოლიანმა აღნიშნა, რომ თბილისში დაიწყო „საბინაო ფონდის" შექმნა, რომლის ფარგლებშიც, დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულების მიზნით განხორციელებული მშენებლობისას, ინვესტორისთვის აუცილებელი პირობაა გარკვეული რაოდენობის საცხოვრებელი ფართის მუნიციპალიტეტისთვის გადაცემა და დაინტერესდა, როდის იქნება სტრატეგია იმასთან დაკავშირებით, თუ რა პრიორიტეტით და კრიტერიუმით მოხდება ფართების გადაცემა დაზარალებულებისთვის. იგი ასევე, შეეხო კოოპერატიული ბინათმშენებლობით დაზარალებულების საკითხს, აღნიშნა, რომ 1998 წელს ჩატარებული აღწერისას დადგინდა, რომ დაზარალებული ოყო 3000 ოჯახი, საიდანაც დღეს დაკმაყოფილებულია 2000 ოჯახი და დაინტერესდა, აქვს თუ არა მუნიციპალიტეტს რესურსი დარჩენილი 1000 ოჯახის დასაკმაყოფილებლად და რა ვადაშია შესაძლებელი აღნიშნული პრობლემის სრულად მოგვარება.

შალვა ოგბაიძემ აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტმა დაიწყო მიკროავტობუსების ჩანაცვლების პროგრამა და დაინტერესდა, იგეგმება თუ არა მათი ჩართვა ერთიან ინტეგრირებულ სისტემაში. ასევე, დაინტერესდა, თუ რა გეგმები აქვს მუნიციპალიტეტს ზონალური პარკირების გაფართოებაზე და იგეგმება თუ არა ელექტრომობილების დასამუხტი პუნქტების რაოდენობის გაზრდა 2021 წელს.

თინათინ ნიბლოშვილმა აღნიშნა, რომ იუნესკოს გადაწყვეტილებით, 2021 წელს, თბილისი იქნება „წიგნის მსოფლიო დედაქალაქი" და დაინტერესდა, როგორ წარმოუდგენია თბილისის მერიას, მსოფლიო პანდემიის პირობებში, თბილისის, როგორც წიგნის მსოფლიო დედაქალაქის ღირსეულად წარმოჩენა და აპირებს თუ არა გაიზიაროს კუალა-ლუმპურის გამოცდილება, რომელიც ამ უკანასკნელმა, პანდემიის პერიოდში, დააგროვა ამ მიმართულებით. ასევე აღნიშნა, რომ პანდემიის პირობებში, მნიშვნელოვნად დაზარალდა კულტურის სფერო და დაინტერესდა აპირებს თუ არა დედაქალაქის მერია გარკვეული სახის დამატებითი ხელშემწყობი ღონისძიებების გატარებას ამ მიმართულებით.

ლევან ალველაძე დაინტერესდა, იგეგმება თუ არა საინვესტიციო ვალდებულებების გადახედვა იმ კომპანიების მიმართ, რომლებსაც თბილისის მერიასთან გაფორმებული აქვთ ხელშეკრულება. ასევე, საინტერესოა, გაგრძელდება თუ არა თბილისის მერიისა და საკრებულოს მიერ დაწესებული საშეღავათო პერიოდი იმ მცირე და საშუალო ბიზნესისთვის, რომლებიც საქმიანობას ახორციელებენ მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებაზე ან ხომ არ იგეგმება მათთვის რაიმე დამატებითი შეღავათების შემოღება. საუბრის ბოლოს, აღნიშნა, რომ სულხან ცინცაძის ქუჩაზე არსებულ ჩოგბურთის კორტებთან დაკავშირებით გამოცხადებულ ინტერესთა გამოხატვის კონკურსში არც ერთმა ბიზნეს-სექტორმა არ მიიღო მონაწილეობა და დაინტერესდა, თუ რა მდგომარეობაა ამ ეტაპზე ამ მიმართულებით.

გულია გოცირიძემ აღნიშნა, რომ გლდანში, პატარა ტბის ტერიტორიის განვითარების პროექტირება დააფინანსა ევროკავშირმა, თუმცა 2021 წლის ბიუჯეტში ამ მიმართულებით თანხა არ არის გათვალისწინებული და იქიდან გამომდინარე, რომ ადგილობრივი მოსახლეობა ელოდება პროექტის განხორციელებას, დაინტერესდა, რა მდგომარეობაა ამ საკითხთან დაკავშირებით. ასევე, აღნიშნა, რომ გმირი კურსანტების ქუჩაზე არის სასმელი წყლის პრობლემა, რომლის მოგვარებისთვისაც საჭიროა დაახლოებით 900 მეტრამდე ტერიტორიაზე მიწისქვეშა კომუნიკაციების შეცვლა და კარგი იქნება, თუ ბიუჯეტში გამოთავისუფლებული თანხა მოხმარდება ამ საკითხის მოგვარებას.

ვაჟა ოთარაშვილის თქმით, თბილისის მერმა, როგორც საარჩევნო ტრიბუნიდან, ასევე, სხვადასხვა ტელეეთერიდან არაერთხელ გააჟღერა დავით აღმაშენებლის ძეგლის ქალაქის ცენტრში გადმოტანა, თუმცა, „შემოქმედებითი ინტელიგენციის“ და „თბილისის საპატიო მოქალაქეების“ არაერთი მიმართვის მიუხედავად, ვერ მოხერხდა ბიუჯეტში 50-70 ათასი ლარის მოძიება იმისთვის, რომ დავით აღმაშენებლის ძეგლი გადმოტანილიყო „ღირსეულ ადგილზე“. ვაჟა ოთარაშვილმა განაცხადა, რომ ჭავჭავაძის გამზირზე, რეაბილიტაციის შემდგომ, იმაზე უარესი საცობებია, ვიდრე იყო რეაბილიტაციამდე, რადგან ამ პრობლემის მოსაგვარებლად საჭიროა, შესაბამისი დარგის სპეციალისტების მიერ მოხდეს ნაკადების შესწავლა და დათვლა და მიმართა კახა კალაძეს - „იქნებ დადგა დრო, რომ ქალაქის მერიამ რეალურად იზრუნოს საცობების განტვირთვაზე და არა იმაზე, რომ სხვა ქალაქებს მივბაძოთ იმით, რომ შუაში ყვითელი ზოლები გავაკეთოთ, რაც პირიქით, იწვევს საცობებს“. ვაჟა ოთარაშვილის თქმით, ინფორმაცია, რომ თბილისის ბიუჯეტის 33% მიმართულია ჯანდაცვისა და სოციალური პროგრამების განხორციელებისკენ, სიმართლეს არ შეესაბამება და არის ტყუილი, რადგან გასათვალისწინებელია დღეს არსებული ლარის კურსი დოლართან მიმართებაში და როდესაც საუბარია ჯანდაცვისა და სოციალურ მიმართულებებზე, ამ კუთხით, დედაქალაქის მაცხოვრებლებისთვის, ყველაზე მნიშვნელოვანი იქნება თბილისში გაიხსნას თუნდაც ერთი მუნიციპალური საავადმყოფო.

გიორგი ბირბიჩაძის თქმით, მისასალმებელია, რომ ქვეყანაში არსებული პანდემიის მიუხედავად, ჯანდაცვისა და სოციალური კუთხით წარმოდგენილი არ არის დაფინანსების კლება, არამედ პირიქით, ბიუჯეტის ერთი მესამედი გათვალისწინებულია სწორედ ამ მიმართულებებზე. აღნიშნა, რომ 2020 წელს, დედაქალაქის მერის ინიციატივით, აუტიზმის სპექტრის აშლილობის მქონე ბავშვებში, მოხდა მომლოდინეთა სიის განულება, რის შედეგადაც დაფინანსდა ყველა ბენეფიციარი და დაინტერესდა, შესაძლებელია თუ არა მომლოდინეთა სიის განულება 2021 წელსაც, რადგან, დღეის მდგომარეობით, პროგრამით სარგებლობს 1250-მდე ბავშვი, თუმცა, სამწუხაროდ, 163 ბავშვი არის მოლოდინის რეჟიმში.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერმა და ვიცე-მერმა უპასუხეს ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების მიერ დასმულ შეკითხვებს.

კახა კალაძემ მთაწმინდის პარკის საბაგირო გზის აღდგენის პროექტთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ უკვე გამოცხადებულია ტენდერი, რათა შეირჩეს კომპანია, რომელიც განახორციელებს საბაგირო გზის მშენებლობის სამუშაოებს. ლილოს ნაგავსაყრელის პროექტზე განაცხადა, რომ მუნიციპალიტეტი მჭიდროდ თანამშრომლობს ევროპის

რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკთან, რომლის დაფინანსებითაც მოხდება აღნიშნული პროექტის განხორციელება. ქალაქში მიმდინარე უკანონო მშენებლობებთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტს მომზადებული აქვს საკანონმდებლო ინიციატივა, რომელსაც განიხილავს საქართველოს პარლამენტი, რადგან სახელმწიფო მიწის მიტაცება არის დანაშაული და ის უნდა ისჯებოდეს შესაბამისად. კახა კალაძის თქმით, დღევანდელმა ხელისუფლებამ დაიწყო „საბინაო ფონდის" შექმნა რომლის ფარგლებშიც, თბილისის მუნიციპალიტეტს, მომდევნო წლებში, ექნება ათი ათასობით საცხოვრებელი ბინების ფართები, რომლებიც გადანაწილდება იმ ადამიანებსა და ოჯახებზე, რომლებსაც ყველაზე მეტად აქვთ ამის საჭიროება. სკუტერების მიმართულებით საგზაო რეგულაციების შემოღებასთან დაკავშირებით, განაცხადა, რომ ეს არის სიახლე ჩვენი ქალაქისთვის და ბუნებრივია, რომ პირველ ეტაპზე, თბილისშიც, ისევე, როგორც სხვა ევროპულ ქალაქებში, ამას ახლავს გარკვეული პრობლემები, თუმცა მუნიციპალიტეტი მზად არის ამ საქმიანობაში ჩართული ბიზნესის წარმომადგენლებთან ერთად, გაიზიაროს სხვა ქვეყნების გამოცდილება და მოაწესრიგოს ამ მიმართულებით არსებული პრობლემები. ზონალურ-საათობრივ პარკირებაზე განაცხადა, რომ მნიშვნელოვანი რეფორმაა, რომელიც ხელს უწყობს ქალაქში წლების მანძილზე ამ კუთხით არსებული პრობლემის მოგვარებას და აქედან გამომდინარე, მომავალშიც გაგრძელდება და დაინერგება მთელი ქალაქის მასშტაბით, ხოლო ტარიფები დადგინდება ქალაქის რაიონებისა და ქუჩების მიხედვით. არსებული ეპიდემიოლოგიური მდგომარეობიდან გამომდინარე, პროექტი „წიგნის მსოფლიო დედაქალაქი", რა თქმა უნდა, ჩატარდება განსხვავებულ ფორმატში, თუმცა იმისთვის, რომ დაგეგმილი ღონისძიებები განხორციელდეს მაღალ დონეზე, მუნიციპალიტეტი აქტიურად თანამშრომლობს კულტურის სამინისტროსთან და თბილისის ბიუჯეტშიც გამოყოფილია შესაბამისი თანხა. რაც შეეხება ზოგადად კულტურის სფეროს, ეს არის მიმართულება, რომელსაც, მუნიციპალიტეტის მხრიდან სჭირდება მხარდაჭერა და თანადგომა, რომლის ფარგლებშიც, პანდემიის პირველი ტალღის დროს ამ სფეროს წარმომადგენლებს გაეწიათ სხვადასხვა სახის დახმარება და, რა თქმა უნდა, მომავალშიც გაგრძელდება. დეველოპერებთან საინვესტიციო ვალდებულებების გადახედვასა და მცირე და საშუალო ბიზნესის დახმარებასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ ამ მიმართულებით გადადგმულია კონკრეტული ნაბიჯები, რადგან დღეს მნიშვნელოვანია მუნიციპალიტეტი გვერდში დაუდგეს მეწარმეებს. ჩოგბურთის კორტებთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ პირველ ეტაპზე გამოცხადებულ ინტერესთა გამოხატვაში, ბიზნეს-სუბიექტებმა არ მიიღეს მონაწილეობა, რაც გასაგებია, დღეს არსებული რეალობიდან და სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, თუმცა, ახალი წლის შემდეგ, კიდევ ერთხელ გამოცხადდება ინტერესთა გამოხატვა და იმედი გამოთქვა, რომ ამ ადგილას შეიქმნება ძალიან კარგი სივრცე. კახა კალაძემ განაცხადა, რომ ვერც ერთ მის დაპირებაში ვერავინ ნახავს, რომ ის საზოგადოებას დავით აღმაშენებლის ძეგლის გადატანას დაპირდა, თუმცა, თუ ამას მოითხოვს საზოგადოების დიდი ნაწილი, მიუხედავად იმისა, რომ დღეს ქალაქში უფრო მნიშვნელოვანი პრობლემებია მოსაგვარებელი და მოსაწესრიგებელი, შესაძლებელია აღნიშნული საკითხის განხილვა. რაც შეეხება ჭავჭავაძის გამზირს, განაცხადა, რომ ამ მიმართულებით მუნიციპალიტეტის პოლიტიკა არის, განვითარებული ქვეყნების მაგალითზე, საუკეთესო პროექტების განხორციელება, რაც მიმართულია საზოგადოებრივი ტრანსპორტით სარგებლობის წახალისებისკენ. მისი თქმით, გზების გაფართოება და ახალი გზების მშენებლობა არ ნიშნავს პრობლემის მოგვარებას, პირიქით, ეს არის იმის წახალისება, რომ ქალაქში შეიქმნას დამატებითი საცობები, ხოლო ჭავჭავაძის გამზირი არის ერთ-ერთი საუკეთესო მაგალითი იმისა, თუ როგორ უნდა დაიგეგმოს დედაქალაქის ქუჩები და ამ მიმართულებით როგორ უნდა დაინერგოს განვითარებული დიდი ქალაქების საუკეთესო სტანდარტი. რაც შეეხება მუნიციპალურ საავადმყოფოს, განაცხადა, რომ ეს არის სამსჯელო თემა, რომელთან დაკავშირებითაც გადაწყვეტილების მიღება ვერ მოხდება მხოლოდ მუნიციპალიტეტის დონეზე და საჭირო იქნება ცენტრალურ ხელისუფლებასთან შეთანხმება. აუტიზმის სპექტრის აშლილობის მქონე ბავშვებთან დაკავშირებით განაცხადა, რომ ისევე, როგორც 2020 წელს, 2021 წელსაც მოხდება მომლოდინეთა სიის განულება და არც ერთი ბავშვი არ დარჩება დაფინანსების გარეშე.

ირაკლი ხმალაძემ „ცისფერი სახლის“, როგორც ისტორიული შენობის შენარჩუნებაზე აღნიშნა, რომ საბაგირო გზის აღდგენის პროექტი არავითარ გავლენას არ ახდენს ამ ობიექტზე. ელიავას ბაზრობის განვითარებასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ სატენდერო და ტექნიკურ პირობებში ჩართულები იყვნენ მესაკუთრეები, რათა გათვალისწინებული ყოფილიყო მათი და იმ ადამიანების ინტერესები, რომლებიც ამ ტერიტორიაზე ახორციელებენ ეკონომიკურ საქმიანობას. ტენდერში გამარჯვებული კომპანიის მიერ შემუშავებული გეგმარებითი დავალება დამუშავდება თბილისის მერიის შესაბამისი სამსახურის მიერ და შემდგომ, დასამტკიცებლად წარედგინება თბილისის საკრებულოს, რაც იმას ნიშნავს, რომ რამდენიმე წელიწადში, ელიავას ბაზრობა მიიღებს სწორედ ისეთ სახეს, როგორსაც თბილისის მერია და საკრებულო განსაზღვრავს, ერთობლივი მუშაობის შედეგად. ირაკლი ხმალაძემ ისაუბრა იმაზე, თუ რას მოხმარდება 50 მილიონიანი ტრანსფერი. ესენია: ორი მულტიფუნქციური კომლექსის სპორტული ინვენტარით აღჭურვა; წყნეთის გზატკეცილზე დაგეგმილია ხელოვნურსაფარიანი მოედნის მშენებლობა; მთაწმინდის საბაგირო გზის აღდგენა; სატრანსპორტო კომპანიის ინფრასტრუქტურის მოწესრიგება; ვაკის პარკის კასკადის და შადრევნების რეაბილიტაციის დაწყება; სკვერების მოწყობა; დამატებით ნაგავშემკრები კონტეინერების შეძენა; თბილისის მასშტაბით სანიაღვრე და სადრენაჟე-საკანალიზაციო ქსელის მოწყობა-აღდგენა, მათ შორის, მუხიანის აგარაკების, სოფელი დიღმის კანალიზაცია და შენგელიას ქუჩაზე კოლექტორის აღდენა. მიკროავტობუსების ერთიან ინტეგრირებულ სისტემაში ჩართვაზე განაცხადა, რომ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ შეძენილი 300 ახალი მიკროავტობუსი უკვე ჩართულია ახალ ქსელში და როდესაც ქსელი აწყობილია ინტეგრირების პრინციპით, გადასახადიც იქნება ინტეგრირებული. საინვესტიციო ვალდებულებებთან დაკავშირებით, განმარტა, რომ პანდემიის პირველი ტალღის დროს, ნეგატიური ეფექტების მინიმიზაციის და დაბალანსების მიზნით, იმ პირებისთვის, რომლებსაც საპრივატიზებო ხელშეკრულებით აღებული ჰქონდათ გარკვეული საინვესტიციო ვალდებულებები, დაწესდა გარკვეული შეღავათები, 2021 წლის პირველ იანვრამდე. თუმცა, იქიდან გამომდინარე, რომ პანდემიის გამო, ცენტრალურ ხელისუფლებას კვლავ მოუწია გარკვეული შეზღუდვების დაწესება, მუნიციპალიტეტსაც მოუწევს გარკვული შეღავათების გაწევა, მათ შორის 2021 წლის პირველი იანვრის თარიღის გადაწევა. კორტებთან დაკავშირებით განაცხადა, რომ პანდემიის გამო, შემცირებულია ეკონომიკური აქტივობები და მომდევნო წელს გამოცხადებული აუქციონი შესაძლებელია იყოს უფრო ნაკლები ღირებულების, რადგან პრიორიტეტი არის ამ ტერიტორიაზე სპორტული სივრცის აღდგენა და არა საპრივატიზაციო ღირებულება. გლდანის ტბის ტერიტორიის განვითარებასთან დაკავშირებით განმარტა, რომ პროექტის განხორციელებას დასჭირდება დაახლოებით სამი მილიონი ლარი და იმ შემთხვევაში, თუ ბიუჯეტში, ეკონომიების სარჯზე, შესაძლებელი იქნება აღნიშნული თანხის მოძიება, თბილისის მერია, საკრებულოსთან ერთად, მიიღებს გადაწყვეტილებას ამ საკითხთან დაკავშირებით. გმირი კურსანტების ქუჩაზე მწყობრიდან გამოსული წყალმომარაგების სისტემაზე განმარტა, რომ აღნიშნული პრობლემის მოგვარება არის კომპანია „GWP“-ის ვალდებულება, ხოლო თბილისის მერია ერთვება მხოლდ უკიდურეს შემთხვევებში, როდესაც ხდება ქუჩების რეაბილიტაცია ან როდესაც კონკრეტულ ტერიტორიაზე არ არსებობს და გაყავს ქსელი. ვაჟა ოთარაშვილის მიერ გაკეთებულ განცხადებაზე, რომ თბილისის ბიუჯეტის 33% მიმართულია ჯანდაცვისა და სოციალური პროგრამების განხორციელებისკენ, სიმართლეს არ შეესაბამება და არის ტყუილი, განაცხადა, რომ დასამტკიცებლად წარმოდგენილია 1050000000 ლარის ოდენობის ბიუჯეტი, სადაც 33% - დაახლოებით 350000000 ლარი მიმართულია ჯანდაცვისა და სოციალური პროგრამებისკენ და ამას არავითარი კავშირი არ აქვს ვალუტის გაცვლით კურსთან. რაც შეეხება საცობების პრობლემის მოგვარებისას ნაკადების დათვლას, ირაკლი ხმალაძის თქმით, საცობების პრობლემის მოგვარება ხდება არა ნაკადების დათვლით, არამედ სწორი სატრანსპორტო პოლიტიკის გატარებით, რომლის ფარგლებშიც, თბილისის მუნიციპალიტეტი, მსოფლიოს განვითარებული ქალაქების გამოცდილებისა და მეთოლოგიის გაზიარებით, ახორციელებს საზოგადოებრივ ტრანსპორტზე ორიენტირებულ სატრანსპორტო პოლიტიკას, რომელმაც ძალიან კარგი შედეგი გამოიღო მსოფლიოს სხვადასხვა ქალაქებში.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრებმა, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოხსენებასთან დაკავშირებით, გააკეთეს შეფასებები.

ერეკლე კუხიანიძემ განაცხადა, რომ ერთი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც თბილისის საკრებულოს სხდომაზე, მის მიმართ მიღებული კონკრეტული გადაწყვეტილებით, კოლეგების მხრიდან, „ფაქტობრივად, სასიკვდილოდ გაიწირა, როგორც მორალურად, ასევე, ფიზიკურად". თუმცა არ აპირებს ამ გადაწყვეტილების შეფასებას, რადგან, მისი თქმით, „გადაწყვეტილება მიღებული იქნა იმ ფსიქოზური მდგომარეობის რეჟიმში, რომელიც ქვეყანაში შექმნა „ნაციონალური მოძრაობის" ძირითადმა და მისმა ანასხლეტმა პარტიებმა", თუმცა, დღეს ყველასთვის გასაგები გახდა, თუ რა პროვოკაციასთან გვქონდა საქმე იმ პერიოდში. განაცხადა, რომ მისი მიზანი არ არის ვინმესთვის პასუხის მოთხოვნა, არამედ სურს ეს ყველაფერი გადავიდეს კონსტრუქციულ რეჟიმში და ამ მიზნით, არაერთხელ ითხოვა თბილისის მერთან შეხვედრა, თუმცა, კახა კალაძის მოუცლელობის გამო, ეს ვერ მოხერხდა და კიდევ ერთხელ მიმართა მას შეხვედრის თხოვნით, რადგან ფიქრობს, რომ „ეს მხოლოდ ქვეყნის სასიკეთოდ იქნება".

ოთარ გრიგოლიამ განაცხადა, რომ არა მხოლოდ ქვეყანაში და რეგიონში, არამედ მთელ მსოფლიოში არსებული პანდემიისა და კრიზისის პირობებში, თბილისის მუნიციპალიტეტმა მიაღწია იმას, რომ ქალაქის ბიუჯეტი არა თუ შემცირებული, არამედ გაზრდილია, რაც პირველ რიგში, თბილისის მერიის და პირადად კახა კალაძის დამსახურებაა და მადლობა გადაუხადა მას. ისაუბრა პანდემიის პირობებში მიმდინარე პროსეცებზე და აღნიშნა, რომ ერთ-ერთი მთავარი იყო მუნიციპალიტეტისა და კერძო სექტორის წარმომადგენლების მიერ გამოჩენილი სოციალური პასუხისმგებლობა, როდესაც ათობით ათას ოჯახს, მარტოხელა მოხუცებს და მრავალშვილიან ოჯახებს, ქალაქის საკრებულოსა და მერიის მხარდაჭერით, გადაეცათ ის ნობათი, რომელიც მათ უკიდურესად სჭირდებოდათ და მადლობა გადაუხადა თითოეულ იმ ადამიანს, რომელიც ჩართული იყო ამ პროცესებში. ასევე, ძალიან მნიშვნელოვანი, დროული და სწორი გადაწყვეტილება იყო საბავშვო ბაღების აღსაზრდელების ოჯახებისთვის იმ პროდუქტების გადაცემა, რომლებიც ბაღების ფუნქციონირების შეჩერებიდან გამომდინარე, ვერ იქნებოდა გამოყენებული. ოთარ გრიგოლიამ, ასევე, ისაუბრა ურბანულ და სატრანსპორტო პოლიტიკაზე და ამ მიმართულებით გატარებულ რეფორმებს „ქალაქის სამწლიანი პოლიტიკის გვირგვინი" უწოდა, რადგან დასრულდა წლების განმავლობაში არსებული ურბანული ქაოსი, ახალი გენ.გეგმის შემუშავებით, ქალაქის განვითარება ნელ-ნელა მიდის ნორმალიზაციისკენ და ემსგავსება რაციონალურ და დაგეგმილ სისტემას, ხოლო, სატრანპორტო მიმართულებით გადადგმული ნაბიჯები, ქალაქის სწორი განვითარების ერთადერთი გზაა. განაცხადა, რომ უმნიშვნელოვანესია საჯარო სივრცეების კეთილმოწყობა და მოსახლეობისთვის დაბრუნება, რომლის ფარგლებშიც, თბილისის ყველა უბანში, განხორციელდა ახალი პარკის, სკვერისა და სოციალური სივრცის მოწყობა, სადაც ადამიანები იკრიბებიან და ისვენებენ. მისი თქმით, დღევანდელი ხელისფლების პირობებში, მინიმუმ 2.5-ჯერ გაიზარდა სოციალური დანახარჯები, რაც მიანიშნებს იმაზე, რომ დღევანდელი ხელისუფლება არის სოციალურად ორიენტირებული და არასდროს მიატოვებს მოქალაქეებს მძიმე პერიოდში. საუბრის ბოლოს, განაცხადა, რომ გაცხადებული შვიდი პოლიტიკის ფარგლებში, ყველა მიმართულებით არის მნიშვნელოვანი პროგრესი, რისი არ დანახვაც არის „თვალების დაბრმავება", თუმცა, მიუხედავად ამისა, „საბინაო ფონდის", ეკოლოგიური მდგომარეობისა და დასაქმების მიმართულებებით, ქალაქში ჯერ კიდევ არის მნიშვნელოვანი გამოწვევები, რასთან დაკავშირებითაც ქალაქის მერია და საკრებულო განაგრძობს აქტიურ მუშაობას.

დავით უთმელიძემ განაცხადა, რომ თბილისის ბიუჯეტი არის კვლავ და კვლავ პროგრესირებადი, რაც გამოიხატება იმაში, რომ შარშანდელთან შედარებით, გაზრდილია 29000000 ლარით და ერთი თვის განმავლობაში კიდევ გაიზრდება 50000000 ლარით, რაც მუნიციპალიტეტს ქალაქისთვის უფრო მეტი სასიკეთო საქმის გაკეთების შესაძლებლობას მისცემს და წარმოდგენილი ბიუჯეტი რომ ორიენტირებულია მოსახლეობის

კეთილდღეობაზე, მოწმობს ის, რომ ბიუჯეტის 33% მიმართულია ჯანდაცვისა და სოციალური პროგრამების განხორციელებისკენ.

ვახტანგ შაქარიშვილმა განაცხადა, რომ თბილისის მერს და მერიის დღევანდელ ადმინისტრაციას საქმიანობის უკანასკნელი ორი წელი უწევს ძალიან რთულ ვითარებაში, რაც გასათვალისწინებელია, თუმცა, სასურველია, უფრო მეტად ადაპირებულები იყვნენ დღევანდელ რეალობასთან, რადგან, მისი თქმით, რამდენიმე კომპანიის მიერ შესყიდული გარკვეული პროდუქტების დარიგების პროექტი არ არის საკმარისი და არ შეესაბამება ადამიანების წინაშე დღეს არსებულ პრობლემებს. მისი თქმით, „ქალაქის მართვაზე პასუხისმგებელი, ამ რთულ პერიოდშიც, არის მესაჭე“, თუმცა, როგორც თბილისის საკრებულოს მაჟორიტარული წესით არჩეული წევრი, თავადაც იზიარებს პასუხისმგებლობას და მისი შენიშვნები თუ კრიტიკა ყოველთვის გამომდინარეობს სწორედ ამ პასუხისმგებლობიდან. ვახტანგ შაქარიშვილმა განაცხადა, რომ ის, რაც „ქართულმა ოცნებამ“ დაიწყო ცენტრალურ დონეზე, სამწუხაროდ, გაგრძელდა ადგილობრივ ხელისუფლებაშიც და ეს არის იმ ღირებულებებზე და პრინციპებზე უარის თქმა, რის გამოც საზოგადოებამ მხარი დაუჭირა „ქართული ოცნების“ გუნდს, რომლის შინაარსობრივ ცვლილებებთან დაკავშირებული დაპირებები წარსულში დარჩა და ჩანაცვლდა „ნაციონალური მოძრაობის“ მმართველობის სტილით, რაშიც იგულისხმება: საზოგადოებრივი აზრისთვის ზურგის შექცევა; კორუფცია; თბილისის ბიუჯეტის პირადი და პარტიული მიზნებით განკარგვა; თბილისის ქონების, მათ შორის მიწების თუ სხვა აქტივების მითვისება კონკრეტული პრივილეგირებული კომპანიების მიერ; ურბანულად გაუმართლებელი სამშენებლო ნებართვები და სხვა. მისი აზრით, მმართველობის ეს სტილი არ არის კარგი და არ ემსახურება ქალაქს. ვახტანგ შაქარიშვილმა ისაუბრა დოლიძის ქუჩის რეაბილიტაციის პროექტზე, აღნიშნა, რომ ეს არის ათი ათასობით ადამიანის თხოვნა და თავადაც თხოვნით მიმართა მერიის წარმომადგენლებს, რომ ფინანსთა სამინისტროს ტრასფერიდან გამოყოფილი იქნას თანხა ამ პროექტის განხორციელებისთვის. საუბრის ბოლოს, აღნიშნა, რომ, როგორც ხელისუფლების, ასევე, ოპოზიციის წარმომადგენლებს, საპსუხისმგებლო თანამდებობზე ყოფნა უწევთ ძალიან მძიმე პერიოდში და ყველას წარმატებები უსურვა.

რევაზ სოხაძემ განაცხადა, რომ სამი წლის განმავლობაში, მუნიციპალიტეტის მხრიდან, იმაზე გაცილებით მეტი გაკეთდა, ვიდრე ამის მოლოდინი შეიძლებოდა ვინმეს ჰქონოდა და „ქალაქისთვის ისტორიული“ უწოდა ურბანული მიმართულებით გადადგულ ნაბიჯებს. მისი თქმით, „ურბანული პოლიტიკა ერთხელ და სამუდამოდ ჩადგა კალაპოტში“ და როგორც თბილისის მერმა განაცხადა, ამ ქალაქში, სტადიონებსა და სკვერებში, მშენებლობა არასდროს განხორციელდება. გარდა ამისა, მშენებლობის ნებართვის გაცემისას, შესაბამისი სამსახურები ხელმძღვანელობენ იმით, რომ ამა თუ იმ ტერიტორიაზე შეიქმნას რაც შეიძლება მეტი რეკრეაციული სივრცე, მოეწყოს სტადიონები და სპორტული კომპლექსები. სწორი ურბანული პოლიტიკის ერთ-ერთი ნაწილია ქალაქის თანაბარი განვითარება, რაც იმას ნიშნავს, რომ ცენტრალური ნაწილი და გარეუბნები ვითარდებოდეს ერთნაირად და ამის ნათელი მაგალითია 2021 წელს გამგეობებისთვის დაფინანსების გაზრდა. რევაზ სოხაძემ ისაუბრა სატრანსპორტო მიმართულებაზე და განაცხადა, რომ ამ სფეროში პირველად შეიქმნა პოლიტიკა და ჩამოყალიბდა ერთიანი ხედვა და სტრატეგია, რომელსაც მიჰყვება მუნიციპალიტეტი და გადაწყვეტილებების მიღება არ ხდება ოპერატიულ რეჟიმში. მისი თქმით, ჭავჭავაძის გამზირი არის ერთ-ერთი საუკეთესო პროექტი, რომელიც, არა თუ ქალაქში, არამედ, ქვეყანაში განხორციელებულა, ხოლო, საზოგადოებრივი ტრანსპორტისთვის განკუთვნილი ზოლის შუა ნაწილში გადატანა ემსახურება მოქალაქეების სწრაფი და უსაფრთხო გადაადგილების უზრუნველყოფას, რაც სოციალური პოლიტიკის ნაწილია. რევაზ სოხაძემ ისაუბრა ეკოლოგიისა და გამწვანების კუთხით გადადგმულ ნაბიჯებზე და განაცხადა, რომ მუნიციპალიტეტი არსდროს ყოფილა ისეთი ქმედითი, როგორიც არის დღეს, თუმცა იქიდან გამომდინარე, რომ ქალაქმა დაკარგა ათეულობით წლები, სასურველია ამ მიმართულებით კიდევ უფრო მეტი თანხის დახარჯვა და მეტის გაკეთება. იგი ასევე, შეეხო „თბილისის განვითარების ფონდის“ საქმიანობას და აღნიშნა, რომ ქალაქისთვის ძალიან

მნიშვნელოვანი იყო ის პროექტები, რომლებიც განხორციელდა ბოლო წლების განმავლობაში, მათ შორის, გუდიაშვილის და კოლმეურნეობის მოედნების რეაბილიტაცია, თუმცა, უმჯობესი იქნება, ჩამოყალიბდეს ფონდის საქმიანობის გრძელვადიანი გეგმა, რადგან მისი მუშაობა, გარკვეულწილად, აფერხებს ძველი თბილისის განვითარებაში ბიზნესის აქტიურ ჩართულობას. საუბრის ბოლოს, განაცხადა, რომ თბილისის მერიის სტრუქტურებში დასაქმებული თითოეული ადამიანის 24 საათიანი მუშაობის შედეგია ის მიღწევები, რითიც დღეს ვამაყობთ და ამიტომ აუცილებელია ამ ადამიანებისთვის ღირსეული ანაზღაურების და ჯილდოს მიცემა და იმის მიუხედავად, თუ ვინ რას იტყვის, სასურველია გადაიხედოს მათი შრომის ანაზღაურების საკითხი და ამ მიმართულებით გადაიდგას სერიოზული ნაბიჯები.

გიორგი დოხტურიშვილმა განაცხადა, რომ „ქართული ოცნების" გუნდის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტი იყო დედაქალაქში ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესება და ამ მიმართულებით მუნიციპალიტეტის მხრიდან გადადგმულია მისასალმებელი ნაბიჯები. კერძოდ: 2017 წელთან შედარებით, დაფინანსება გაზრდილია 71000000 ლარით; ქალაქის ყველა რაიონში მოეწყო არაერთი სკვერი; ფონდი „ქართუს" ჩართულობით და თბილისის მერიასთან თანამშრომლობით, მუნიციპალიტეტს დაუბრუნდა გასხვისებული იპოდრომის ტერიტორია, სადაც მოეწყობა თბილისის ცენტრალური პარკი; მთაწმინდის ფერდობზე, ასევე ფონდი „ქართუს" ჩართულობით, განახლდა დაზიანებული ნარგავები. დაგეგმილია და მომდევნო წლებში განხორციელდება: თემქის ხევის პარკის მოწყობა; ვაკის პარკის რეაბილიტაცია; ვაკის პარკის კასკადის მოწყობა; დიღმის ჭალების, გლდანის ტბების და ვარკეთილის ხევის კეთილმოწყობა. განაცხადა, რომ ჩამოთვლილი პროექტების განხორციელების შემდეგ, დედაქალაქში რადიკალურად შეიცვლება ინფრასტრუქტურული მდგომარეობა, თბილისის მერს და მერიის თითოეულ თანამშრომელს მადლობა გადაუხადა გაწეული საქმიანობისთვის და წარმატებები უსურვა.

ნინო რუხაძემ აღნიშნა, რომ ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნულმა ასოციაციამ, ევროპის მუნიციპალიტეტებისა და რეგიონების საბჭოში წარადგინა მისი კანდიდატურა და განაცხადა, რომ მუნიციპალურ ხელისუფლებათა და ასოციაციათა საერთო ევროპულ პლატფორმას შეუერთდება „დიდი შემართებით და წელგამართული", რადგან ის იქნება იმ ქალაქის დელეგატი, რომელსაც სხვა ბევრ ღირსებასთან ერთად, აქვს ჯანსაღი, საფუძვლიანი და დამსახურებული ამბიცია, იყოს ადამიანზე, განვითარებაზე, სიახლეებსა და კონკრეტულ შედეგებზე ორიენტირებული ქალაქი. მისი თქმით, დღეს, თბილისი, სოციალური, ჯანდაცვის, სატრანსპორტო, გარემოს დაცვის, მდგრადი და ურბანული განვითარების, ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელების მიმართულებებით წარმოადგენს ღირებული და პოზიტიური გამოცდილებით სავსე ქალაქს. აღსანიშნავია ისიც, რომ პანდემიის და ეკონომიკური კრიზისის ფონზე, თბილისის აღმასრულებელმა ხელისუფლებამ მოახერხა 2021 წლის ბიუჯეტი წარედგინა გაზრდილი მაჩვენებლით, რაც უდაოდ დიდი მიღწევა და წარმატებაა, რისთვისაც მადლობა გადაუხადა ქალაქის მერს და მერიის თითოეულ თანამშრომელს.

თინათინ ნიბლოშვილმა განაცხადა, რომ 2020 წელი არა მარტო საქართველოსთვის, არამედ მთელი მსოფლიოსთვის ძალიან მძიმე აღმოჩნდა, თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენი ქვეყანა პანდემიასთან ბრძოლაში აღმოჩნდა ერთ-ერთი წარმატებული, რაშიც უდიდესი წვლილი მიუძღვის ექიმებს და ქვეყნის პოლიტიკურ ხელმძღვანელობას. მისი თქმით, პანდემია განსაკუთრებით მძიმედ შეეხო განათლებისა და კულტურის სფეროებს, რომელთა განვითარებაში განსაკუთრებული როლი აქვს თბილისის მუნიციპალიტეტს და ამ მიმართულებებზე ზრუნვის ნათელი მაგალითია ის, რომ პანდემიის პირობებშიც კი არ შეჩერებულა საბავშვო ბაღების მშენებლობა, ხორციელდებოდა საკვები პროდუქტის დარიგება საბავშვო ბაღების აღსაზრდელების ოჯახებისთვის და სასწავლო პროცესის შეჩერების მიუხედავად, თბილისის მერიამ შეინარჩუნა საბავშვო ბაღებში დასაქმებული ყველა თანამშრომელი. მისი თქმით, 2021 წელს გაგრძელდება მუნიციპალური ბიბლიოთეკების თანამედროვე სტანდარტზე გადაყვანა და მუზეუმების რეაბილიტაციის ხელშეწყობა, რასაც უდიდესი როლი აქვს, როგორც კულტურის კომერციალიზაციის, ასევე ტურიზმის სფეროს

განვითარების კუთხით. აღსანიშნავია, ისიც, რომ კულტურის სფეროს ხელშეწყობის მიზნით, თეატრებსა და სახელოვნებო სკოლებში შემოქმედებითი პროცესის შეჩერების მიუხედავად, მუნიციპალიტეტს არ შეუწყვეტია მათი დაფინანსება. საუბრის ბოლოს, თინათინ ნიბლოშვილმა კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ იუნესკოს გადაწყვეტილებით, 2021 წელს თბილისი იქნება „წიგნის მსოფლიო დედაქალაქი", და იმედი გამოთქვა, რომ თბილისი ამ სტატუსს მოირგებს ისე, როგორც შეეფერება ჩვენს უძველეს ქალაქს.

ჯაბა ჯიშკარიანმა ისაუბრა თბილისში, პანდემიის გამო დაწესებული შეზღუდვებიდან გამომდინარე არსებულ პრობლემებზე. აღნიშნა, რომ დღეს თბილისის მოსახლეობის გარკვეული ნაწილი სარგებლობს უფასო სასადილოების მომსახურებით. ამ ადამიანების ნაწილი, რომელთა საცხოვრებელ სახლებსაც უტარდებათ გამაგრებითი სამუშაოები, გამგეობის მიერ, საცხოვრებლად გადაყვანილია სხვა უბანში და იქიდან გამომდინარე, რომ თბილისში შეზღუდულია საზოგადოებრივი ტრანსპორტის მოძრაობა, ისინი, სოციალური სიდუხჭირის გამო, ვერ ახერხებენ უფასო სასადილოების მომსახურებით სარგებლობას. ჯაბა ჯიშკარიანმა მიმართა ქალაქის მერს, რომ გადასცემს ამ ადამიანებს სიას, რათა მუნიციპალიტეტმა მათ აღმოუჩინოს შესაბამისი დახმარება. მან, ასევე, ისაუბრა იმ საკითხებზე, რომლებიც, მისი თქმით, დღემდე პრობლემატურია და გამოწვევად რჩება: სოციალური სიდუხჭირე, რასაც დაემატა „COVID-19"-ის მიერ გამოწვეული ეკონომიკური პრობლემებიც და აქედან გამომდინარე, მისი აზრით, 2021 წლის ბიუჯეტი კიდევ უფრო მეტად უნდა იყოს ორიენტირებული სოციალურ მიმართულებაზე; დაბინძურებული გარემო, რაც გამოიხატება იმაში, რომ „ჰაერის დაბინძურებამ პიკს გადააჭარბა"; თბილისის ქუჩებში არსებული საცობები, მათ შორის ყიფშიძის ქუჩიდან წყნეთის ქუჩამდე მონაკვეთზე არის სავალალო მდგომარეობა, რომლის მოგვარებაც შესაძლებელია ამ ქუჩებიდან ახალი გზის მიმართულებით ორი დამატებითი გზის გაჭრით; ქალაქში მიმდინარე ქაოტური მშენებლობები, სადაც იგულისხმება საეჭვოდ გაცემული მშენებლობის ნებართვები და ეს საკითხი აუცილებლად უნდა შეისწავლოს მუნიციპალიტეტმა. საუბრის ბოლოს, განაცხადა, რომ 2021 წლის ბიუჯეტში, „ქამრების შემოჭერის ხარჯზე", მეტი ყურადღება უნდა მიქცეოდა „თბილსერვის ჯგუფის", „სინათლის ქალაქის", დასუფთავების სამსახურის თანამშრომლებისა და საბავშვო ბაგა-ბაღების აღმზრდელების არაადეკვატურ ანაზღაურებას, რომლებიც, დღეს არსებული მდგომარეობიდან გამომდინარე, „წინა ხაზზე დგანან".

გიორგი ჩაკვეტაძემ 2021 წლის ბიუჯეტს „ისტორიული" უწოდა, რადგან, მისი თქმით, ალბათ საუკუნეში ერთხელ ხდება მსგავსი პანდემია, რაც დღეს მსოფლიოშია და ამის მიუხედავად, თბილისის ბიუჯეტი პასუხობს ქალაქში არსებულ ყველა ძირითად გამოწვევას. აღსანიშნავია ისიც, რომ წინა წლის ბიუჯეტთან შედარებით გაზრდილია 29000000 ლარზე მეტით, რაც კიდეც უფრო მეტი პროექტის განხორციელების შესაძლებლობას იძლევა. აღნიშნა, რომ 2020 წელს დაიწო და მომავალ წელს დასრულდება ორი მულტიფუნქციური კომპლექსის მშენებლობა; ქალაქში გაიხსნა არაერთი სპორტული დარბაზი და ახალგაზრდული სივრცე; პანდემიის პერიოდში, თბილისის მერიის მხარდაჭერით, არ შეწყეტილა არც ერთი მნიშვნელოვანი პროგრამა, მათ შორის, სპორტსმენთა წახალისება, მწვრთნელთა მხარდაჭერა და პარასპორტის განვითარება; ასევე, არ შეწყვეტილა ახალგაზრდული ინიციატივების დაფინანსება და მხარდაჭერა, რომელიც პანდემიის პირობებში იყო გადამწყვეტი და მნიშვნელოვანი; პანდემიიდან გამომდინარე დაწესებული შეზღუდვების გამო, საქმიანობის შეჩერების მიუხედავად, მუნიციპალურ ა(ა)იპ-ებში დასაქმებული არც ერთი ადამიანი არ დარჩენილა შემოსავლის გარეშე. გიორგი ჩაკვეტაძემ მადლობა გადაუხადა თბილისის მერს და ასევე, ყველა იმ მოხალისეს და სხვადასხვა უწყების თანამშრომელს, რომლებიც, პანდემიის მიუხედავად, ყოველდღიურად საზოგადოების სამსახურშია და პროდუქტები მიაქვს იმ ადამიანებისთვის, ვისაც ეს ყველაზე მეტად სჭირდება. საუბრის ბოლოს, აღნიშნა, რომ ინოვაციური და რეგიონალური მნიშვნელობის საკითხია „კოჯრის ახალგაზრდული სოფლის" პროექტი, რომელიც უკვე შეძენილია თბილისის მერიის მიერ და კარგი იქნება, თუ საჯარო და კერძო თანამშრომლობის ფარგლებში, მისი დასრულება მოხდება მომდევნო თვეების განმავლობაში.

შალვა ოგბაიძემ განაცხადა, რომ ქალაქის მთავრობა და საკრებულო მოსახლეობასთან ასე ახლოს არასდროს ყოფილა, თბილისის საკრებულოს მაჟორიტარი წევრები მთელი წლის განმავლობაში ხვდებიან და ესაუბრებიან მოსახლეობას, ინიშნავენ მათ პრობლემებს და შემდგომ, აღმასრულებელ ხელისუფლებასთან ერთად, აგვარებენ ამ პრობლემებს. მისი თქმით, კეთილდღეობა მხოლოდ ფინანსურად არ იზომება, ეს არის ახალგაზრდობის წვდომა განვითარების ინსტიტუტებსა და ინსტრუმენტებზე, იქნება ეს მარტივი ტიპის მოედანი, სკვერი თუ ფიტნეს-სტადიონი, რაც მრავლად გაკეთდა დღევანდელი ხელისუფლების პირობებში. მისი აზრით, თბილისის ნებისმიერ უბანში დაბადებულ და გაზრდილ ახალგაზრდას განვითარებისთვის უნდა ჰქონდეს თანაბარი წვდომა და, მაგალითისთვის, ისაუბრა სოფელ გლდანში განხორციელებულ, მოსახლეობისთვის უმნიშვნელოვანეს, პროექტებზე და განაცხადა, რომ „მალე სიტყვა სოფელი მხოლოდ ტოპონიმი დარჩება და ის გაუთანაბრდება დედაქალაქის სხვა ლამაზ უბნებს“. საუბრის ბოლოს, შალვა ოგბაიძემ მადლობა გადაუხადა ქ.თბილისის მერს და მერიის წარმომადგენლებს მოსახლეობისთვის გაწეული სამსახურისთვის.

ლევან ჟორჟოლიანის თქმით, როდესაც საუბარია იმაზე, თუ რა გაკეთდა და შეიცვალა ამ წლების განმავლობაში, პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს, რომ ყველა სხვა პერიოდისგან განსხვავებით, თბილისმა დაიწყო საკუთარი პოლიტიკისა და სტრატეგიის დადგენა და განხორციელება ისეთი მიმართულებებით, როგორებიცაა: ურბანული და სატრანსპორტო პოლიტიკა, ეკოლოგია, განათლება, სპორტი და სხვა, რაც ნიშნავს იმას, რომ პრობლემებზე რეაგირებიდან ქალაქი მწყობრი ნაბიჯებით გადავიდა შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღებაზე და აქედან გამომდინარე, ბიუჯეტიც ნაწილდება გონივრულად, პრიორიტეტების მიხედვით. მისი თქმით, ბიუჯეტი საკმარისი არასდროს არის, თუმცა, როდესაც მუნიციპალტეტი ახერხებს მის გადანაწილებას რაციონალურად, შანსი ეძლევა ადეკვატურად უპასუხოს დედაქალაქში არსებულ გამოწვევებს, რისი ნათელი მაგალითიც იყო დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის შემუშავება და განაშენიანების რეგულირების წესებში ცვლილებების განხორციელება, რომელთა მიხედვითაც, „ქალაქის ჩაბეტონების წაცვლად“, პრიორიტეტი და უპირატესობა მიენიჭა ტრანსპორტის, გამწვანების და გარემოს დაცვის საკითხებს. ასევე, წარმატებული იყო ტაქსების მიმართულებით გატარებული რეფორმა, რომელიც ძალიან კარგად ჩაჯდა ქალაქის ურბანულ იერსახეში და სოციალური საბინაო პოლიტიკა, რომლის ფარგლებშიც 2018-2020 წლებში, 1400 ოჯახს, სიმბოლურ ფასად - ერთ ლარად დაუკანონდა სახელმწიფო და მუნიციპალურ ბალანზე რიცხული უძრავი ქონება, სადაც ისინი, სხვადასხვა მიზეზების გამო, წლების განმავლობაში ცხოვრობენ. ასევე, 2018-2020 წლებში დაკმაყოფილდა კოოპერატიული ბინათმშენებლობით დაზარალებული იმდენივე ადამიანი, რამდენიც 1998 წლიდან 2017 წლამდე. ლევან ჟორჟოლიანმა ისაუბრა დაუმთავრებელ მშენებლობებზე და აღნიშნა, რომ ამ მიმართულებით, დღევანდელმა ხელისუფლებამ მოაგვარა კომპანია „სვეტის“ მიერ დაზარალებული 2500 ოჯახის პრობლემა, „ოლიმპიური ვარსკვლავის“ მიერ 700 ოჯახისთვის შექმნილი პრობლემა, ხოლო „ცენტრ პოინტი ჯგუფის“ დაუმთავრებელი მშენებლობით დაზარალებული ოჯახების პრობლემის მოგვარების პროცესი უახლოეს მომავალში დასრულდება. მისი თქმით, როდესაც საუბარია იმაზე, თუ როგორი სოლიდარული იყო საზოგადოება, ბიზნესი და ხელისუფლება ერთმანეთის მიმართ 2020 წლის პანდემიის პერიოდში, აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ პანდემიის პირველი ტალღის პერიოდში მოხდა ბიზნესის გათავისუფლება საიჯარო ქირისგან, პირგასამტეხლოსგან და მოსაკრებლებისგან. ასევე, აღსანიშნავია, რომ ბაღების ფუნქციონირების შეჩერების მიუხედავად, ხელფასები არათუ შეუნარჩუნდათ საბავშვო-ბაღების თანამშრომლებს, არამედ გაეზარდათ და ასევე, საქმიანობის შეჩერების მიუხედავად, ხელფასები შეუნარჩუნდათ სახელოვნებო სკოლების თანამშრომლებსა და სპორტული მიმართულებით დასაქმებულ ადამიანებს. პანდემიის პერიოდში არ შეჩერებულა ისეთი მნიშვნელოვანი პროექტების განხორციელება, როგორებიცაა: კოოპერატიული ბინათმშენებლობით და დაუსრულებელი მშენებლობით დაზარალებულების დაკმაყოფილება. აქედან გამომდინარე, მუნიციპალიტეტის მიერ, პანდემიის პერიოდში,

ადამიანების დასახმარებლად გადადგმული ნაბიჯები არ იყო მხოლოდ სხვადასხვა ბიზნესის მიერ შეგროვებული ნობათების დარიგება, მუნიციპალიტეტმა, თავისი კომპეტენციის ფარგლებში გააკეთა ყველაფერი, რისი გაკეთების საშუალებასაც აძლევდა კანონი. საუბრის ბოლოს, ლევან ჟორჟოლიანმა განაცხადა, რომ თითოეული ადამიანის მიერ, პანდემიის პერიოდში, გამოვლენილი სოლიდარობის მაგალითები მუნიციპალიტეტს აძლევს მეტ მოტივაციას, რომ 2021 წელს გააკეთოს კიდევ უფრო მეტი სასიკეთო საქმე ქალაქისთვის, რადგან თბილისი და მისი მოსახლეობა ამას იმსახურებს.

გიორგი ტყემალაძემ აღნიშნა, რომ მიმდინარე სხდომაზე გაჟღერებული შესრულებული სამუშაოები იმ სამწლიანი დაუღალავი შრომის, სწორი ღირებულებების და პრინციპული გადაწყვეტილებების შედეგია, რომლებსაც ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერი, მისი გუნდი და საკრებულოს წევრები ახორციელებენ, რისთვისაც მალობა გადაუხადა მათ.

კახა კალაძემ აღნიშნა, რომ მიმდინარე სხდომაზე 2021 წლის ბიუჯეტთან დაკავშირებით იყო კრიტიკაც, თუმცა მსჯელობა იყო ნამდვილად საინტერესო. ვახტანგ შაქარიშვილის და ჯაბა ჯიმკარიანის მიერ გაჟღერებულ პრობლემებთან დაკავშირებით, განაცხადა, რომ ნებისმიერ დროს მზად არის, მათთან ერთად, განიხილოს ის საკითხები, რომლებიც აწუხებს მოსახლეობას. რაც შეეხება ყიფშიძის ქუჩაზე არსებულ პრობლემას, აღნიშნა, რომ 2021 წლის ბიუჯეტში გათვალისწინებულია კონკტერული პროექტები, თუ როგორ უნდა მოგვარდეს ეს საკითხი. კახა კალაძემ ბოდიში მოუხადა ერეკლე კუხიანიძეს, რადგან ეპიდემიოლოგიური ვითარებიდან და შემდეგ საპარლამენტო არჩევნებდან გამომდინარე, აქამდე ვერ მოხერხდა მათი შეხვედრა და აღნიშნა, რომ მასთან შეხვედრისთვის მზად არის. კახა კალაძემ ისაუბრა პოლიტიკურ სპექტრში დღეს არსებულ ვითარებაზე და განაცხადა, რომ სამწუხაროდ, ეს არის დაპირისპირებაზე აგებული პოლიტიკური სპექტრი, რადიკალური ძალებით სავსე ოპოზიცია, რაც ძალიან ცუდია და სახელმწიფოსთვის არ არის სასარგებლო. მისი თქმით, გასული თვეების განმავლობაში, ოპოზიციის მხრიდან ვიხილეთ მოდელირებული გაყალბების ქრონიკა და მათი მხრიდან აბსოლუტურად უპასუხისმგებლო ნაბიჯები, რომელიც აზიანებს არა რომელიმე კონკრეტულ პოლიტიკურ პარტიას, არმედ ჩვენ სახელმწიფოს. „ქართულმა ოცნებამ", როგორც პასუხისმგებლიანმა გუნდმა, განაცხადა, რომ მათ სასარგებლოდ 1%-იანი ცდომილების დაფიქსირების შემთხვევაში, მზად იყო გადაედგა შემხვედრი ნაბიჯები და რეაგირება მოეხდინა ოპოზიციის მოთხოვნებზე, თუმცა, მათი მხრიდან მიიღო უარი, დესტრუქცია და შეურაცხყოფა. ფაქტია, რომ 2020 წლის საპარლამენტო არჩევნები აღიარა ყველამ, ქართული ოპოზიციის გარდა, რომლებიც ეწინააღმდეგებიან საქართველოს მოქალაქეებს, საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიას, ავტორიტეტულ ორგანიზაციებსა და ჩვენი ქვეყნის სტრატეგიულ პარტნიორებს - დასავლელ მეგობრებსა და დასავლურ ინსტიტუტებს. მისი თქმით, ეს ძალიან სამწუხარო ვითარებაა, რადგან ჩვენ ერთად უნდა ვიდგეთ ქვეყნის წინაშე არსებულ გამოწვევებთან. კახა კალაძემ ისურვა, რომ 2021 წელი იყოს მშვიდობის, ჯანმრთელობის, გაერთიანებისა და სოლიდარობის წელი და განსხვავებული პოლიტიკური აზრის მიუხედავად, შეგვეძლოს საერთო საქმის კეთება და იმედი გამოთქვა, რომ ერთსულოვნებით და ერთიანი ძალისხმევით 2024 წელს შევძლებთ განაცხადის გაკეთებას ევროკავშირის წევრობაზე. განაცხადა, რომ მისი, როგორც ქალაქის მერის ამოცანაა, თბილისი იყოს მწვანე, მოწესრიგებული ტრანსპორტით, სოციალური დაცვის უკეთესი მექანიზმებით, ძლიერი ეკონომიკით, მოწესრიგებული განაშენიანებით, კომფორტული და სიცოცხლით სავსე ქალაქი. თუმცა, ეს არ არის არის მისი მხოლოდ როგორც ქალაქის მერის ამოცანა, ეს მისი პირადი ამბიცია და მიზანია, რომ თბილისი იყოს ბევრად უკეთესი ქალაქი, ვიდრე ის იყო წინა წლებში და მომავალ თაობებს კომფორტული, ევროპული ტიპის, ისტორიით, ტრადიციებით, სიმწვანითა და სიცოცხლით სავსე ქალაქი დაუტოვოთ. საუბრის ბოლოს, კახა კალაძემ სხდომაზე დამსწრე საზოგადოებას და სრულიად საქართველოს მიულოცა დამდეგი შობა-ახალი წლის დღესასწაული, წარმატებები, სიკეთე, კეთილდღეობა და ბედნიერება უსურვა ჩვენი ქვეყნის თითოეულ მოქალაქეს.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ საკითხი.

მომხრე - 34

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 2

გადაწყვეტილება ხმათა უმრავლესობით იქნა მიღებული.

3. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 27 დეკემბრის N51-104 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსმა გაიოზ თალაკვაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია ფინანსთა სამინისტროსგან სპეციალური ტრანსფერის - 30000000 ლარის დამატება თბილისის 2020 წლის ბიუჯეტში და ასევე, წარმოდგენილია გადაჭარბება შემოსავლების კუთხით: ფიზიკური პირების ქონებაზე - 5000000 ლარი, 6000000 ლარი - დამატებითი ღირებულების გადასახადში, ხოლო 7000000 ლარი - პროცენტებში. მისი თქმით, შემოსავლების ეს ნაწილი აბალანსებს სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელში არსებულ 48000000 ლარის დანაკლისს. გარდა ამისა, წარმოდგენილია სხვადასხვა რესურსების, ძირითადად, შრომის ანაზღაურების მიმართულებით არსებული რესურსის გადანაწილება ტრანსპორტის კომპანიის სუბსიდირების და „თბილისის განვითარების ფონდის“ დაფინანსების გაზრდის მიმართულებებით.

დავით უთმელიძემ აღნიშნა, რომ ბიუჯეტის პროექტი განხილულია საკრებულოს შესაბამისი კომისიების გაერთიანებულ სხდომაზე, სადაც წარმოდგენილი ცვლილებები დადებითად შეფასდა.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 32

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ხმათა უმრავლესობით იქნა მიღებული.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომაზე მიღებული იქნა 2 დადგენილება.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე

საკრებულოს თავმჯდომარის
პირველი მოადგილე გიორგი ახვლედიანი